შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2022 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 089/21 (საქმე Nსსდ-03-22)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ქუთაისის სააპელაციო სასამართლო (მოსამართლე ნანა კალანდაძე)

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.12.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 089/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიმართ /სიითი №6740/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დავით ცინცქილაძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 06 დეკემბერს საჩივრით მომართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (მოსამართლე ნანა კალანდაძე) და მოითხოვა ადვოკატ დავით ცინცქილაძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დავით ცინცქილაძე განაწყენდა იმით, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით და განჩინებით ძალაში დარჩა ადვოკატთან მიმართებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ადვოკატმა სოციალური

ქსელი - „ფეისბუქის“ მეშვეობით, როგორც საკუთარ გვერდზე, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სახელწოდებით შექმნილ ყალბ გვერდზე, სადაც მთავარ სურათად (ე.წ. „ქავერი“) განათავსა ნანა კალანდაძის სურათი, ძალზე შეურაცხმყოფელი სტატუსით, რაც ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის არაერთი ადვოკატისა და მოსამართლისათვის.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ კონფლიქტის მიზეზის უკეთ აღქმადობისათვის, მნიშვნელოვანი იყო კოლეგიისათვის განმარტება იმ ძირითადი საქმის შესახებ, სადაც მის ოჯახს მოსამართლე ნანა კალანდაძე მოევლინა „პირად მტრად, ბოროტმოქმედ მსაჯულად და ფსევდო მოსამართლედ“.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მისი ნათესავები განუწყვეტლივ ახორციელებდნენ მის მიმართ ფსიქოლოგიურ ძალადობას. მათ შორის არსებობს დავა იმ საცხოვრებელი სახლის გამო, რომლის თანამესაკუთრეებიც არიან. აღნიშნული პირები, სხვადასხვა გზით, ხელს უშლიან მას საკუთარი ქონების განკარგვაში, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, ტეხენ დებოშს, შეურაცხმყოფელი გადაკიდებით აფრთხობენ, როგორც მაღაზიის მომხმარებელს, ისე იმ პირებს ვინც გამოთქვამს მისი ბინის დაქირავების სურვილს. ადვოკატი განმარტავს, რომ ეს პირები განუწყვეტლივ აგზავნიან ცრუ შეტყობინებებს სამართალდამცავ ორგანოებში და ცდილობენ პოლიციელების იძულებას - მიიღონ მათი სასარგებლო გადაწყვეტილება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულ მირანდა ნაკაშიძისა და მისი ადვოკატის ცრუ დასმენის გამო, მის მიმართ 3 ჯერ გამოიცა შემაკავებელი ორდერი და ასევე გამოსცეს დამცავი ორდერი. ამ საქმეს სააპელაციო წესით იხილავდა მოსამართლე ნანა კალანდაძე, რომელმაც მტკიცებულებების გაუთვალისწინებლად, მას დაუტოვა მოძალადის სტატუსი. ამ სხდომაზე, მოსამართლემ განკარგულებით გააძევა ადვოკატი სხდომის დარბაზიდან.

2.4 ადვოკატმა განმარტა, რომ მას შემდეგ, მოსამართლე ნანა კალანდაძესთან ჰქონდა კიდევ ერთი პროცესი, რომელზეც ადვოკატმა აჩვენა მეგობრული, თბილი დამოკიდებულება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო მოითხოვა დამცავი ორდერის გაუქმება, რადგან ხელთ ჰქონდა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. პირველი ინსტანციის მოსამართლემ მისი შუამდგომლობა არ მიიღო წარმოებაში და მოითხოვა ბაჟის გადახდა, რისი გასაჩივრებაც ადვოკატს დასჭირდა რამდენჯერმე; როდესაც მესამეჯერ გაასაჩივრა, მისი 2021 წლის 07 ოქტომბრის კერძო საჩივარი დაეწერა მოსამართლე ნანა კალანდაძეს, მიუხედავად მისი თხოვნია, რომ მისი საქმე არ დაწეროდა აღნიშნულ მოსამართლეს. მოსამართლე ნანა კალანდაძემ 2021 წლის 24 ნოემბრის N3/ბ-504-21 განჩინებით არ დააკმაყოფილა კერძო საჩივრის მოთხოვნა და დაუტოვა მას მოძალადის სტატუსი.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე ნანა კალანდაძეს მის მიმართ ამოძრავებს პირადი მიზნები კორუფცული ან სხვა საფუძვლით. მოსამართლეს არ შეუძლია საჩივრის დაწერა, ვერ აყალიბებს აზრს და ვერ აღწერს მოვლენებს, ვერ ამყარებს მტკიცებულებით და მისი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.7 2022 წლის 10 მარტს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მას ნანა კალანდაძისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, თუმცა მოსამართლე ღირსი იყო შეურაცხყოფის.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მას არ ეკუთვნის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს რომელიმე „Facebook-ის“ გვერდი და ამ გვერდზე რაიმე პოსტი არ განუთავსებია. ადვოკატი განმარტავს, რომ მომჩივანი წარმოდგენილი მტკიცებულებით ვერ ადასტურებს, რომ პოსტი ეკუთვნის ადვოკატ დავით ცინცილაძეს. თუმცა აქვე ადვოკატი განმარტავს, რომ ამ მოსამართლესთან ცივილური დამოკიდებულება არ ჭრის. ადვოკატი განმარტავს, რომ მოსამართლე ნანა კალანდაძემ უნდა მიიღოს ისეთი სამართალი, როგორსაც თავად აძლევს მხარეებს.

2.9 ადვოკატი სადავოდ ხდის, რომ სადავო ფოსტის გამოქვეყნება მისი აიპი მისამართიდან განხორციელდა. ადვოკატი განმარტავს, რომ შეიძლება განცხადება მართლაც აქვს მიწერილი, თუმცა მოსამართლე ნანა კალანდაძე თავის საჩივარს აგებს „Facebook“ პოსტზე.

2.10 ადვოკატის პოზიციით, თუ ჩათვლის საჭიროდ, თავისი უფლების დასაცავად მსგავს მეთოდს, ამგვარ კრიტიკას, კვლავ გამოიყენებს.

2.11 ადვოკატმა საქმის წარმოებისას ჯერ განაცხადა, რომ ეს „Facebook“ გვერდი არ იყო მისი, შემდეგ მიუთითა, რომ სოციალური ქსელი „Facebook“ აქვს, სადაც დარეგისტრირებულია საკუთარი სახელით და გვარით, თუმცა არ ოპერირებს. მოგვიანებით, ადვოკატმა განმარტა, რომ ამჟამად აქვს ანგარიში სოციალურ ქსელ - „Facebook-ში“, თუმცა არ ასახელებს რა მონაცემებით *(username)* არის დარეგისტრირებული, რადგან „დამნაშავეობა თავად არ უნდა ამტკიცოს“.

2.12 ადვოკატი კომისიისაგან ითხოვს გაითვალისწინოს საქმის ვითარება და მის მიმართ შემოიფარგლოს მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 07 აპრილს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ სასამართლოსადმი წარდგენილი და სოციალურ ქსელში (Facebook) გამოქვეყნებული განცხადებებით შელახა კონკრეტული მოსამართლის, სასამართლოს და ადვოკატთა კორპუსის ღირსება, მის მიერ დარღვეული იქნება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (გ), ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1.

3.3 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დააყენა კოლეგიის თავმჯდომარის - ქ-ნი ანა ლორიასა და კოლეგიის წევრის - ბ-ნი ბესიკ ქარცივაძის აცილების საკითხი, თუმცა

შუამდგომლობაზე კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, მოპასუხე ადვოკატმა მოხსნა შუამდგომლობა კომისიის ორივე წევრის მიმართ აცილების თაობაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1.1 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, ნანა კალანდაძემ, განიხილა საქმე, სადაც საჩივრის ავტორის სტატუსით, მონაწილეობას იღებდა მოპასუხე ადვოკატი, დავით ცინცქილაძე. აღნიშნული საქმის ფარგლებში გამოტანილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 24 ნოემბრის N3/ბ-504-21 განჩინებით არ დაკამყოფილდა ადვოკატ დავით ცინცქილაძის კერძო საჩივარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საჩივრის ავტორის განმარტება (პარ.1.2);

მოპასუხე ადვოკატის განმარტება (პარ.2.5).

4.1.2 ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ, საკუთარი ელექტრონული ფოსტის: d.tsintskiladze@gmail.com, მეშვეობით 2021 წლის 25 ნოემბრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა შემდეგი განცხადებით:

*„ნანა კალანდაძე შე ბოროტმოქმედო, უსინდისო, უნამუსო, ღვთისპირისგან გადავარდნილო, არაოჯახის შვილო, არაქართველო, მოსამართლის მანტიაში გახვეულო ეშმაკო და სატანავ! შენგან მოსალოდნელი გადაწყვეტილება როგორც იცი წინასწარ გაცნობე 2021 წლის 21 ნოემბრის განცხადებაში და გააკეთე ის რაც ბინძური ღორის შემთხვევაშიც პროგნოზირებადია, როგორც ძაღლი არ მოიშლის მძ**ერის ჭამას, ისე შენ არ მოეშვები ქართულ მართლმსაჯულებაში ბოროტმოქმედების ჩადენას! შენ და შენზე უარესმა კობა გოცირიძემ თუ ერთმანეთზე უარესმა ბოროტმოქმედებმა ორგზის საქართველოს პროკურატურის მიერ ფიზიკური დაზიანებისათვის დაზარალებულად ცნობილი პირი, რომელიც ბრალდებულისაგან განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას, კვლავ მოძალადის სტატუსით დამტოვეთ და მომისპეთ ყველანაირი შანსი ეროვნული მართლმსაჯულების სისტემაში მეპოვნა სამართალი! ამიტომ ნანა შე სატანის მოციქულო, ქვაზე დახატულო ეშმაკო, შე არა ადამიანო ბიულოგიურო ჭუჭყო, ფურთხის, ნე**ის, გინების და წყევლის ღირსი ხარ! რომელშიც ესე ღრმად ლივლივებ და ბედნიერად გრძნობ თავს! როგორც შენი გამრუდებული მართლმსაჯულებით შეურაცხყავი ჩემი პიროვნება, ბოროტს გაამარჯვინე, ღმერთს ვთხოვ სულ ბოროტება ზეიმობდეს შენი და შენი ოჯახის შთამომავლობის თავზე! მინდა შენს და შენი სამი ვაჟის მათი შთამომავლობის ბედზე იგრძნო შენგანვე მომდინარე ბოროტების სიმწარე თქვე ანტრებო და მუდრეგებო! ღმერთს ვთხოვ ისე ნუ გაგიყვანს ამ წუთისოფლიდან შენს და შენს ოჯახს არ აგემოს უსამართლობის ძლიერი ტანჯვა, სულ წამლათ წაგივიდეთ მამ შენი*

სოციალური სტატუსით და ბოროტების მსახურობაში აღებული ფული! მინდა რომ სიკვდილს ნატრულობდეთ და ის არა და არ მოდიოდეს! სამუდამო ჯოჯოხეთის ცეცხლი თქვენ ყველა თქვენი ბოროტმოქმედებისთვის!!! ეხლა ჩამისაფრდი და კიდე მავნე რამე მოსამართლის მაღალი მდგომარეობის ბოროტმოქმედულად გამოყენებით, სულ რომ კვდებოდე თქვენს წყევლა-გინებას არ შევწყვეტ და თუ განგება დაუშვებს დედებს მოგიკითხავთ!!!".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ დავიტ ცინცქილაძის 2021 წლის 25 ნოემბრის განცხადებას აქვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ბეჭედი, განცხადება ხელმოწერილია მოსარჩელე დავით ცინცქილაძის მიერ და განცხადება სასამართლოს კანცელარიაში შესულია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ადვოკატ დავით ცინცქილაძის ელექტრონული ფოსტიდან: d.tsintskiladze@gmail.com (აღნიშნული ელ-ფოსტა ადვოკატის მიერ მითითებულია ასოციაციის წევრთა მონაცემთა ერთიან ბაზაშიც, როგორც ადვოკატ დავით ცინცქილაძის კუთვნილი ელექტორნული ფოსტა). განცხადების შინაარსი შეიცავს ფაქტებს, რომელიც მხოლოდ საქმის მხარისათვის იქნებოდა ცნობილი. ადვოკატი სადავოდ არ ხდის განცხადების მისადმი კუთვლინებას, თუმცა განმარტავს, რომ აღნიშნული განცხადება კომისიამ არ უნდა შეაფასოს, რადგან მომჩივანი აპელირებს არა განცხადებაზე, არამედ, „facebook" პოსტზე.

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ საკუთარ სოციალურ ქსელ „facebook-ში" 2021 წლის 25 ნოემბერს გამოაქვეყნა პოსტი, რომელიც მიემართება მოსამართლე ნანა კალანდაძეს:

*„ეს ეშმაკის მო**ული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემძვრალი ნანა კალანდაძეა! ქართულ მართლმსაჯულებაში სატანები მძლავრობენ! ღმერთი ამათ არ წამთ, კანონი ამათ არ აინტერესებთ, მტკიცებულება ამათთან არ ჭრის, არგუმენტი და შეგონება! ერთადერთი რეცეპტი ამათთან ბრძოლის სანამ დედებს მოუ**ნავთ არის წყევლა, გინება, ფურთხი და დიდი ზომის ბროწეულის ოყნები! დღეს აი ეს მივწერე პირადად მას: „ნანა კალანდაძე შე ბოროტმოქმედო, უსინდისო, უნამუსო, ღვთისპირისგან გადავარდნილო, არაოჯახის შვილო, არაქართველო, მოსამართლის მანტიაში გახვეულო ეშმაკო და სატანავ! შენგან მოსალოდნელი გადაწყვეტილება როგორც იცი წინასწარ გაცნობე 2021 წლის 21 ნოემბრის განცხადებაში და გააკეთე ის რაც ბინძური ღორის შემთხვევაშიც პროგნოზირებადია, როგორც ძაღლი არ მოიშლის მძ**ერის ჭამას, ისე შენ არ მოეშვები ქართულ მართლმსაჯულებაში ბოროტმოქმედების ჩადენას! შენ და შენზე უარესმა კობა გოცირიძემ თუ ერთმანეთზე უარესმა ბოროტმოქმედებმა ორგზის საქართველოს პროკურატურის მიერ ფიზიკური დაზიანებისათვის დაზარალებულად ცნობილი პირი, რომელიც ბრალდებულისაგან განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას, კვლავ მოძალადის სტატუსით დამტოვეთ და მომისპეთ ყველანაირი შანსი ეროვნული მართლმსაჯულების სისტემაში მეპოვნა სამართალი! ამიტომ ნანა შე სატანის მოციქულო, ქვაზე დახატულო ეშმაკო, შე არა ადამიანო ბიულოგიურო ჭუჭყო, ფურთხის, ნე**ის, გინების და წყევლის ღირსი ხარ! რომელშიც ესე ღრმად ლივლივებ და ბედნიერად გრძნობ თავს! როგორც შენი გამრუდებული მართლმსაჯულებით შეურაცხყავი ჩემი პიროვნება, ბოროტს გაამარჯვინე, ღმერთს ვთხოვ სულ ბოროტება ზეიმობდეს შენი და შენი ოჯახის შთამომავლობის თავზე! მინდა შენს და შენი სამი ვაჟის მათი შთამომავლობის ბედზე იგრძნო შენგანვე მომდინარე ბოროტების*

სიმწარე თქვე ანტრეგო და მუდრეგეგო! ღმერთს ვთხოვ ისე ნუ გაგიყვანს ამ წუთისოფლიდან შენს და შენს ოჯახს არ აგემოს უსამართლობის ძლიერი ტანჯვა, სულ წამლათ წაგივიდეთ მამ შენი სოციალური სტატუსით და ბოროტების მსახურობაში აღებული ფული! მინდა რომ სიკვდილს ნატრულობდეთ და ის არა და არ მოდიოდეს! სამუდამო ჯოჯოხეთის ცეცხლი თქვენ ყველა თქვენი ბოროტმოქმედებისთვის!!! ეხლა ჩამისაფრდი და კიდე მავნე რამე მოსამართლის მაღალი მდგომარეობის ბოროტმოქმედულად გამოყენებით, სულ რომ კვდებოდე თქვენს წყევლა-გინებას არ შევწყვეტ და თუ განგება დაუშვებს დედებს მოგიკითხავთ!!!".

პოსტზე მონიშნულია - „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო-High Council os Justice os Georgia თბილისის საქალაქო სასამართლო / Tbilisi City Court ქუთაისის სააპელაციო სასამართლო - Kutaisi Court of Appeals ქუთაისის სააპელაციო სასამართლო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს სასამართლოები / Georgia Courts საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - TCJ სასამართლო, მართლმსაჯულება, საზოგადოება.

ადვოკატი განმარტავს, რომ მას მსგავსი შინაარსის პოსტი არ გამოუქვეყნებია, თუმცა ეთანხმება პოსტის შინარსს და განმარტავს, რომ სხვას რომ არ გამოექვეყნებინა, შესაძლოა, თავად დაეწერა.

თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102.1). მომჩივანმა მხარემ წარმოადგინა სასამართლოში გაგზავნილი განცხადება და სოციალურ ქსელ „facebook-ში" განთავსებული პოსტი, სადაც პოსტის ავტორად ფიქსირდება დავით ცინცქილაძე.

ეთიკის კომისიის შეფასებით, მომჩივანის მიერ წარმოდგენილ „სქრინებში" ასახულია ადვოკატ დავით ცინცქილაძის სახელით გამოქვეყნებული საჯარო პოსტი, სადაც გამეორებულია იმ ტექსტის შინაარსი, რომლითაც ადვოკატმა წერილობით მიმართა სასამართლოს იმავე რიცხვში - 2021 წლის 25 ნოემბერს. ადვოკატს არ განუცხადებია, რომ მისი FB გვერდით სარგებლობს სხვა პირი.

ადვოკატ დავით ცინცილაძეს აქვს წვდომა საკუთარ „Facebook-ის" ანგარიშზე, მას არ განუცხადებია, რომ გაუტეხეს გვერდი და მისი სახელით გამოაქვეყნეს სადავო პოსტი. პოსტის კომენტარებს პასუხობენ ადვოკატები, დავით ცინცქილაძის კოლეგები, მათ კომენტარებით ასევე ეხმაურება ადვოკატი დავით ცინცქილაძე. კომისიისათვის არ იყო სარწმუნო ადვოკატ დავით ცინცქილაძის განმარტება „Facebook" პოსტის კუთვნილებასთან დაკავშირებით. ადვოკატმა ჯერ განაცხადა, რომ მისი სახელით და გვარით იყო დარეგისტრირებული სოციალურ ქსელ „Facebook-ში", თუმცა არ ოპერირებდა; შემდეგ მიუთითა, რომ სხვა სახელით და გვარით არის დარეგისტრირებული, თუმცა კომისიას არ გაუმხილა აღნიშნული ინფორმაცია და დამატებით განმარტა, რომ „მისი დამნაშავეობა თავად არ უნდა ემტკიცებინა"; ამასთან, არ განუცხადებია არსად, რომ მისი ფეისბუქ გვერდით, სადაც მისი ფოტოებია განთავსებული, სხვა სარგებლობდა. ეთიკის კომისიის შეფასებით, ყოველივე აღნიშნული (სასამართლოში ადვოკატ დავით ცინცქილაძის წარდგენილი წერილისა და „Facebook" პოსტის დამთხვევა, მომჩივანი მხარისა და ადვოკატის ახსნა-განმარტებები და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები) ერთობლიობაში წარმოადგენს სარწმუნო და დამაჯერებელ მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ სადავო „Facebook" პოსტი, ადვოკატ დავით ცინცქილაძის გამოქვეყნებულია მისივე გვერდის მეშვეობით.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ დარღვეულია სასამართლოს და პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება:

6.1.1 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (გ)).

6.1.2 ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1).

6.2 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატის პროფესია არის თვითრეგულირებადი, ღირსეული და საპასუხისმგებლო. ადვოკატი არის დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს სრულ თავისუფლებას. ადვოკატის არაეთიკური ქცევა იწვევს ეთიკური სტანდარტის დარღვევის პროპორციულ პასუხისმგებლობას. სასამართლოსთან ურთიერთობის სტანდარტის დაცვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. ადვოკატი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით მოსამართლესთან, თანაშემწესთან და სხდომის მდივანთან ურთიერთობის დროს უნდა იყოს ეთიკური, გაწონასწორებული და ღირსეული მაშინაც, როდესაც ის წარმოადგენს პირად საქმეზე მხარეს.

6.3 ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.1).

6.4 აზრის გამოხატვის თავისუფლება „დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება, როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების, ისე ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.04.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე №ას-591-591-2018, 1.4.3).

6.5 „გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით საფუძველს, მისი პროგრესირების ერთ-ერთ საბაზისო პირობას და თითოეული ინდივიდის სრულყოფილი თვითგანვითარების საშუალებას“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 27.05.2003 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე *Skalka v. Poland*, 32).

6.6 გამოხატვის თავისუფლების უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითაც (მუხლი 17), თუმცა აღნიშნული უფლებები არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. აზრის გამოხატვა შესაძლოა შეიზღუდოს, როდესაც აზრი

გადმოცემულია უხამსი ფორმით და/ან შეიცავს პირისპირ შეურაცხყოფას, უხამსობას (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9.1).

6.7 ეთიკის კომისიის განმარტებით, ჩვეულებრივი ინდივიდისაგან განსხვავებით, ადვოკატი, როგორც საზოგადოებრივი ოფიცერი, უფრო შეზღუდულია გამოხატვის თავისუფლებაში, რაც მართლმსაჯულების სისტემაში მისი უმნიშვნელოვანესი როლიდან გამომდინარეობს. „ადვოკატებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან. ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად" (Basic Principles on the Role of Lawyers, adopted by the 8th UN Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba,1990, 23.). „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა" (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 01.10.1984 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე *R.S and Z.v Switzerland*). შესაბამისად, ადვოკატებს აქვთ უფლება ისარგებლონ გამოხატვის თავისუფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა უფლებები, არ გადმოსცენ აზრი უხამსი, პირისპირ შეურაცხმყოფელი ფორმით და აზრის გამოხატვისას იმოქმედონ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებით. პროფესიის მარეგულირებელ ნორმებში გაწერილი აღნიშნული შეზღუდვა ემსახურება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულაში მითითებული ძირითადი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას - ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავებას.

6.8 „ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს" (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 15.12.2005 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე *Kyprianou V Cyprus*).

6.9 „ისეთი გამოხატვა, რომლის ერთადერთ მიზანსაც, პირის დამცირება, მისი პატივისა და ღირსების შელახვა წარმოადგენს, ვერ ისარგებლებს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით" (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 30.01.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე *Sekmadienis Ltd. vs. Lithuania*, 80-81).

6.10 „ადვოკატს, როგორც სპეციალური სტატუსის მატარებელ ფიგურას, მინიჭებული აქვს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის შუამავლის როლი. ზოგიერთი ქცევის შეზღუდვა ადვოკატის პროფესიის მქონე პირებისათვის, სწორედ ამ სტატუსის არსებობით არის განპირობებული" (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 24.02.1994 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე *Casado Coca v. Spain*, 54).

6.11 „ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას აქვს კრიტიკის უფლება, მაგრამ მან შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენოს მართლმსაჯულების სისტემას და მის მონაწილე პირებს.

ადვოკატმა უნდა იცოდეს თუ სად გადის ზღვარი კრიტიკასა და შეურაცხყოფელ განცხადებებს შორის ისე, რომ არ აეკრძალოს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 15.04.2014 წლის გადაწყვეტილება, საქმე №141/13).

6.12 „ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება ადვოკატის როლის განმტკიცებას, ადვოკატის პროფესიის დაცვასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაღრმავებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 05.10.2020 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №063/19, 6.5).

6.13 პირველ რიგში, ადვოკატის ქცევის შეფასებამდე, მნიშვნელოვანია განიმარტოს ეთიკის კოდექსის მოქმედების ფარგლები. ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატ დავით ცინცქილაძის არგუმენტს, იმასთან დაკავშირებით, რომ ის იყო მხარე, იცავდა საკუთარ ინტერესებს პირად (ოჯახის) დავაში და ამიტომ, მასზე არ უნდა გავრცელებულიყო პროფესიული პასუხისმგებლობა. ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისას დებს ფიცს, რომ „იქნება სამართლიანობის იდეების ერთგული, კეთილსინდისიერად და პირნათლად შეასრულებს ადვოკატის მოვალეობებს, დაიცავს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს“. ადვოკატი ამ ფიცის ერთგული უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, სხვის უფლებებს იცავს, თუ საკუთარს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისას, ადვოკატი იძენს იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც ადვოკატის, როგორც თვითრეგულირებადი პროფესიისათვის არის განსაზღვრული. „მიუხედავად იმისა, თუ რა სტატუსით გამოდის ადვოკატი, მასზე ვრცელდება პროფესიული რეგულაციები, რადგან ის ადვოკატთა პროფესიის წარმომადგენელია“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სრული შემადგენლობის 08.01.2015 წლის რეკომენდაცია №012/14).

6.14 ადვოკატის მიერ 4.2.1. პუნქტში მითითებული სტატუსის გამოქვეყნებისას, რაც გახდა მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი, ადვოკატი დავით ცინცქილაძე იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. შესაბამისად, მართალია ის კონკრეტულ საქმეში მხარედ მონაწილეობდა, თუმცა მასზე სრულად ვრცელდებოდა ადვოკატთა პროფესიული რეგულაციები.

6.15 ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ მოსამართლის მისამართით გაკეთებული გამონათქვამები და დაადგინა, რომ მისი მხრიდან ვლინდება დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ - სასამართლოსთან კომუნიკაციის სტანდარტის დარღვევა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (გ), ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1).

6.16 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ 2021 წლის 25 ნოემბერს სასამართლოს მიწერა წერილი და გამოაქვეყნა FB პოსტი, რომლებიც მიემართება მისი საქმის განმხილველ მოსამართლეს - ნანა კალანდაძეს (იხ. 4.2.1 პუნქტი).

6.17 განხილვის კოლეგია პროცესის მხარის, მოსარჩელის ქცევის შეფასების დროს ითვალისწინებს იყო თუ არა დავით ცინცქილაძის მიერ გამოთქული მოსაზრებები შეურაცხმყოფელი და ექცეოდა თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დადგენილ ფარგლებში. როგორც სასამართლოსადმი წარდგენილ განცხადებაში, ასევე „Facebook“ პოსტში მითითებული ყოველი ფრაზა (იხ. 4.1.2, 4.2.1 პუნქტები) არ შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებ კრიტიკად, რადგან ის გადმოცემულია უხამსი

ფორმით და შეიცავს პირისპირ შეურაცხყოფას, უხამსობას (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9.1). საქმის განმხილველი მოსამართლე ნანა კალანდაძე მოხსენიებულია არაეთიკური, აგრესიული და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით.

6.18 დავით ცინცქილაძეს უფლება ჰქონდა გაეკეთებინა საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მისი კრიტიკა არ უნდა გასცდენოდა განსაზღვრულ ფარგლებს. ადვოკატ დავით ცინცქილაძის მიერ „Facebook“ პოსტის გამოქვეყნებისა და შეურაცხმყოფელი განცხადების წარდგენის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა მოსამართლის დამცირება, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, რაც ვერ ისარგებლებს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით.

6.19 მართალია, ადვოკატს ჰქონდა პირადი დავა, რაც მისთვის იყო მგრძნობიარე, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, რომ არ ეთანხმებოდა მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ განცხადებასა და სოციალურ ქსელ „Facebook-ში“ გამოქვეყნებულ სტატუსში მითითებული ფრაზები ვერ ისარგებლებენ სამართლებრივი დაცვით, რადგან აღნიშნული ფრაზეოლოგია მიზნად ისახავს მოსამართლის პროფესიული ღირსების შელახვას და პირად შეურაცხყოფას.

6.20 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დავით ცინცქილაძემ დაარღვია სასამართლოსთან კომუნიკაციის სტანდარტი, რის გამოც დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.21 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.22 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22.05.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

6.23 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული

ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.24 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.25 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.26 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის წერის სტილს, ადვოკატის დამოკიდებულებას საკითხისადმი. ადვოკატი არ ნანობს და მიიჩნევს, რომ თუ კიდევ ექნება შემთხვევა, იგივეს გაიმეორებს, რადგან „საქართველოში ეს ამართლებს“. ადვოკატი ფიქრობს, რომ თუ ასე გააგრძელებს, გარკვეულ შედეგებს მიიღებს. არაეთიკური ქცევა გახდა ადვოკატის სტრატეგია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატის განწყობის ფორმირებაზე გავლენა არ მოუხდენია ეთიკის კომისიის მიერ მისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიცემულ რჩევას, დისციპლინურ საქმეში N065/21, 30.03.2022 წელი. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი დავით ცინცქილაძე ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს, ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიას მიადგა ზიანი და მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. თუმცა, ამავდროულად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძისათვის მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. ეთიკის კომისია, სახდელის შეფარდებისას ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძეს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

6.27 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ დავით ცინცქილაძეს

ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1(ა), 35, 35[1], 36 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N089/21 დადგინდეს ადვოკატ დავით ცინცქილაძის /სიითი№6740/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ დავით ცინცქილაძეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/